



Media Advocacy Coalition

კოალიცია მედიის ადვოკატირებისთვის

კოალიცია მედიის ადვოკატირებისთვის აჭარის ტელევიზიის დირექტორის შერჩევის პროცესს ეხმიანება

2019 წლის 18 ნოემბერს, ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ გააუქმა ბათუმის საქალაქო სასამართლოს განჩინება, რომლითაც აჭარის ტელევიზიის დირექტორის შესარჩევი კონკურსი გიორგი კობრეიძის სარჩელის საფუძველზე დღემდე შეჩერებული იყო. მრჩეველთა საბჭო დირექტორის შერჩევის პროცედურებს 21 ნოემბერს [დაინყებს](#). გავრცელებული ინფორმაციის თანახმად კონკურსში [მონაწილეობს](#) გიორგი კობრეიძეც.

აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებლის თანამშრომელთა ნაწილმა ჯერ კიდევ 2019 წლის 30 სექტემბერს [განაცხადა](#), რომ ტელევიზია ბოლო პერიოდში განვითარებული მოვლენებისა და განსაკუთრებით, ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიერ მაუწყებლის დირექტორის შესარჩევი კონკურსის შეჩერების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გამო, სარედაქციო პოლიტიკის შეცვლის საფრთხის წინაშეა.

სამოქალაქო საზოგადოებას კი გვქონდა მოლოდინი, რომ კონკურსის შეჩერება

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



ემსახურებოდა დირექტორის არჩევას ახალი მრჩეველთა საბჭოს პირობებში. ამ ეჭვს ამყარებდა ის გარემოებაც, რომ ბათუმის საქალაქო სასამართლოს გიორგი კობრეიძის სარჩელზე [ხარვეზი უნდა დაედგინა](#) და განჩინებაში მითითებული საფუძვლით არ უნდა მომხდარიყო დირექტორის თანამდებობაზე გამოცხადებული ახალი კონკურსის შეჩერება.

კოალიცია მედიის ადვოკატორებისთვის მიიჩნევს, რომ აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებლის გარშემო ბოლო პერიოდში განვითარებული მოვლენები, მათ შორის აჭარის უმაღლესი საბჭოს მიერ მრჩეველთა საბჭოს წევრების შერჩევა და შემდგომში განვითარებული მოვლენები ტოვებს ვარაუდის საფუძველს, რომ ეს პროცესი მართულია ხელისუფლების მიერ.

ამასთან, კრიტიკულად მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, დირექტორად შერჩეული იქნეს ისეთი პირი, რომლის დირექტორობის პერიოდში უზრუნველყოფილი იქნება ჟურნალისტთა სარედაქციო დამოუკიდებლობა.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

მედიაკლუბი

საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

ღია საზოგადოების ფონდი

რეგიონულ მაუწყებელთა ალიანსი

ლიბერალური აკადემია თბილისი

საქართველოს რეგიონული მედიის ასოციაცია

სატელევიზიო ქსელი

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



საქართველოს მცირე და საშუალო სატელეკომუნიკაციო ოპერატორთა ასოციაცია

საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა